



N 21/5366
16/09/2022

5366-21-2-202209161729



ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

თქვენი 2022 წლის 14 სექტემბრის წერილის (სამინისტროს რეგისტრაციით №25745) პასუხად, რომელიც ეხება „ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის ქ. №39-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.02.020) და რუსთაველის ქ. №44-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.23.01.001), სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის“ სკრინინგის განცხადების წარმოდგენას სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გთხოვთ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოთ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსება. ამასთან, გთხოვთ, უზრუნველყოთ დამადასტურებელი ფოტომასალის სააგენტოში წარმოდგენა.

დამატებით გაცნობებთ, რომ სკრინინგის პროცედურის გასავლელად სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაცია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზეც (იხ. ელ. ბმული <https://nea.gov.ge/Ge/GZSH/733>). საზოგადოების მხრიდან, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტსა და სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებული მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შესაძლებელია 2022 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.

იხ. დანართი

პატივისცემით,



თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო